პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასახელება	ტანსაცმლის და დეკორატიული ქსოვილის დიზაინი
კვალიფიკაცია	ტანსაცმლის და დეკორატიული ქსოვილის დიზაინის დიპლომირებული სპეციალისტი
პროგრამის ხანგრძლივობა:	4 სემესტრი, **ECTS**-ის 120 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი	2007 წლის 1-30 სექტემბერი
პროგრამის ხელმძღვანელი	ლევან სილაგაძე, მხატვარი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების მიმართულების კოორდინატორი (იხ. დანართი - cv)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს შედარებით მოკლე დროში მისცეს ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც მას რეალურად გამოადგება დაზგური მხატვრობის და დიზაინის სფეროში წარმატებული მუშაობისთვის. არსებობს სრულიად ლოგიკური, რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შემდგარი საფუძველი, რომელიც ასეთი პროგრამის შემუშავების და ამოქმედების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს. ეს კომპონენტები დარგის სპეციფიკას, უმაღლეს სასწავლებლებში (კერძოდ თსუ-ში) მოქმედ საბაკალავრო პროგრამის თავისებურებას და თანამედროვე დასაქმების ბაზრის მხატვრობისა და დიზაინის სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნებს ემყარება.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ კარგი, თუნდაც დიდი მხატვრის (მითუმეტეს კონკრეტული მიმართულების დიზაინერის) ჩამოყალიბებას, აპრიორი სულაც არ სჭირდება ზოგადჰუმანიტარული საბაკალავრო განათლების მიღება. სახვითი ხელოვნების და დიზაინის სწავლების პროცესი ძირითადად პრაქტიკულ-ინდივიდუალური ხასიათისაა და დაოსტატების რეჟიმის ფუნდამენტური ეტაპი ხშირ შემთხვევაში ემყარება საუკუნეების მანძილზე გამოცდილ სქემას "ოსტატი-შეგირდი". რა თქმა უნდა, ეს ვარიანტი შეზღუდულია – განსაკუთრებით ეპოქის ჭრილში. ამიტომ სტრუტურულად ჩამოყალიბებული სასწავლო პროგრამა, რომელიც არ შემოიფარგლება დარგში ვიწრო სპეციალიზაციით, არამედ სტუდენტს მისცემს ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების ოპტიმალურ ეტაპზე სწორი არჩევანის გაკეთების შანსს, თავის მიზანს ნამდვილად გაამართლებს.

პროგრამის სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მხატვრული ხედვის და აზროვნების ჩამოყალიბების, ოსტატობის და ტექნიკური უნარ-ჩვევების სწავლების ტრადიციული, კლასიკური მეთოდების დაბალანსება თანამედროვე დიზაინერული შემოქმედებითი პრაქტიკის და ტექნოლოგიების ათვისებასთან. ეს პრინციპი მომავალ სპეციალისტს მისცემს პრაგმატულ შედეგს – მოიპოვოს რეალური სამუშაო ადგილი ყველგან, სადაც სოციუმს სჭირდება პროდუქციის, ობიექტის ან მოქმედების მხატვრული იერ-სახის დადგენა და განხორციელება; ხოლო საზოგადოებას – ყავდეს გაცნობიერებული მხატვრული ხედვის და გემოვნების მქონე შემსრულებელი.

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	სწავლება, სწავლა და შეფასება
I. ცოდნა და გაცნობიერება 1.სახვითი ხელოვნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგების განვითარების ისტორიის ზოგადი ცოდნა.	აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფერწერული კომპოზიცია გრაფიკულული კომპოზიცია მსოფლიო ხელოვნების ისტორია ქართული ხელოვნების ისტორია
2. სახვითი ხელოვნების ძირითადი, ტრადიციული დარგების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა) და გამოყენებითი ხელოვნების დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების და სტილისტიკის გარჩევა.	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფერწერულიკომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია
3. სტუდენტი კარგად იცნობს დაზგური მხატვრობისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას, მისი სწორად გამოყენების თეორიულ მეთოდიკას. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებისთვის (ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება, დეკორატიული ქსოვილის დიზაინი, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი) აუცილებელ სამუშაო ინსტრუმენტებს და დამხმარე მოწყობილობას, ასევე მასალას, რომლის დიზაინერულ გაფორმებაზე უხდება მხატვარს მუშაობა.	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფერწერული კომპოზიცია კინოსა და თეატრის მხატვრობა ტესტი, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია
4. მხატვრობის ტრადიციული მეთოდების ცოდნასთან ერთად სტუდენტი იცნობს თანამედროვე ტექნოლოგიებს სახვითი და დიზაინერული აზროვნების სფეროში – კერძოდ კომპიუტერულ პროგრამებს, რომელიც ამ სფეროს ემსახურება.	გრაფიკული კომპოზიცია ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია I-IIეტაპი ტესტი, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	**სწავლება, სწავლა და შეფასება**
5. სტუდენტს კარგად ესმის ზოგადად მხატვრობის სპეციფიკა და ამ სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნება – აცნობიერებს, რომ როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული და დიზაინერული იდეის და მისი კონკრეტული ამოცანის და გარემოსთვის მისადაგების შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს დარგობრივი თუ სტილისტური კანონიკა და შემოქმედების თავისუფლება. 6. შეძენილი აქვს სახვითი ხელოვნებისთვის ფუნდამენტური ცოდნა ფერის, ფორმის, ჩრდლისა და განათების, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების შესახებ. 7. ესმის და აცნობიერებს სახვით ხელოვნებაში და დიზაიში კომპოზიციური აზროვნების მნიშვნელობას; აქვს მხატვრული კომპოზიციის სხვა და სხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა.	აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფერწერული კომპოზიცია ფიგურატიული პლასტიკა თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერაში თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში მსოფლიო ხელოვნების ისტორია ქართული ხელოვნების ისტორია ტესტი, ზეპირი და წერითი გამოცდა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფიგურატიული პლასტიკა შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები ფიგურატიული პლასტიკა თავისუფალიშემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში ტანსაცმლისმოდელირების საფუძ-ვლები, ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები დეკორატიული ქსოვილის მასალაში შესრულებაI-II ეტ
II. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება / პრაქტიკული უნარები: პრაქტიკული უნარების გამომუშავება პროგრამისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და საგნების უმრავლესობა ამ საქმეს ემსახურება. 1. დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ესკიზებზე სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები.	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	სწავლება, სწავლა და შეფასება
2. სტუდენტი სრულყოფილად ფლობს აკადემიური ხატვის ტექნიკას და ხერხებს – შეუძლია ნებისმიერი სირთულის მოდელის სწორი კონსტრუქციული გადმოტანა სასურათე სიბრტყეზე და მისი შემდგომი შუქ-ჩრდილული დამუშავება.	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა) აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი). ფიგურატიული პლასტიკა შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია
3. სტუდენტი ფლობს ზეთის ფერწერის, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას. მას შეუძლია ამ სახეობის საღებავების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენება დაზგურ და მონუმენტურ ფერწერაში (სასურათე სიბრტყის მასალისა და დანიშნულების მიხედვით მათი სწორად შერჩევიდან ტექნიკური და სტილისტური ნიუანსების შეჯერებამდე) და გრაფიკაში, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ესკიზების შესაქმნელად.	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ფერწერა) აკადემიური მხატვრობა I-ფერწერული კომპოზიცია II ეტაპი ფიგურატიული პლასტიკა თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერა თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია
4. შეუძლია სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მხატვრული პროდუქცია და შეასრულოს გაფორმებითი ხასიათის მხატვრული სამუშაო.	მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლ აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ები, ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერაში შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია
5. ტანსაცმლის დიზაინის სფეროში სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური თემის არჩევისას შესაქმნელი კოსტიუმის სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნის ბაზაზე შერეული ტენიკის გამოყენებით შექმნას კოლექციის ესკიზური ვარიანტი. საკოლექციო მოდელირების კომპოზიციის საფუძველზე კოსტუმის საბაზისო კონსტრუქციის აგება და მასალაში შესრულება.	ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია I-IIეტაპი საკოლექციო მოდელების დიზაინიI-IIეტაპი შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	**სწავლება, სწავლა და შეფასება**
6. დეკორატიული ქსოვილის დიზაინის დარგში შესრულებული კომპოზიციური ესკიზების საფუძველზე შეუძლია გადაიტაქნოს შაბლონზე და ქსოვილის რთული სპეციფიკური ტექნიკის გამოყენებით მასალაში შეასრულოს გობელენი და ბატიკა. 7. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამების (Adobe Photoshop, CorelDrow, AdobeIllusrator) ცოდნის საფუძველზე შეუძლია იმუშაოს მაკეტზე და მხატვრულად გააფორმოს ნებისმიერი ნაბეჭდი პროდუქცია, აგრეთვე გამოიყენოს ეს პროგრამები დამოუკიდებელი მხატვრული და დიზაინერული პროდუქციის შესაქმნელად.	დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები დეკორატიული ქსოვილის დაპროექტება I-IIეტაპი დეკორატიული ქსოვილის მასალაში შესრულებაI-II ეტ გრაფიკული კომპოზიცია ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია I-IIეტაპი საკოლექციო მოდელების დიზაინიI-IIეტაპი შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია
III. ზოგადტრანსფერული უნარები 1. მხატვრობის სპეციფიკიდან გამომდინარე იდეის ჩამოყალიბების და სწორად გაანალიზების ეტაპი საბოლოო პროდუქციის შექმნის წარმატების აუცილებელი ბაზისია. ასეთი უნარის ჩამოყალიბება ხდება კომპლექსურად სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე და მიბმულია იდეის ხორხშესხმისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებასა და თეორიული ცოდნის მიღებაზე. როგორც დამოუკიდებელი, დაზგური მხატვრული ნაწარმოების, ასევე დიზინერული იდეაც დაკავშირებულია კომპოზიციურ აზროვნებასთან, რაც არა მხოლოდ საგნებისა და ფორმების სიბრტყობრივ და სივრცობრივ მანიპულირებას, არამედ ადამიანის აზროვნების, ქმედების და განწყობის შემოქმედებითდ სინთეზირებას წარმოადგენს. 2. სწავლის და პრაქტიკული მუშაობის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება სწავლების პერიოდში ბუნებრივად შეძენილი უნარია, რადგან მხატვრობის შესწავლა პროგრამის მიხედვით შედგება არაერთგვაროვანი მეთოდიკისგან (თეორიული ცოდნის მიღება, სახელოვნებო ტექნიკისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მხატვრულ-კომპოზიციური აზროვნება) და ხარისხიანი მხატვრული პროდუქტის მიღებაც მხოლოდ სწორად გაწერილი ციკლების შესრულების შედეგად შეიძლება. განსაკუთრებით ეს ეხება დიზაინის სფეროს, სადაც დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი შემოქმედბითი იდეის დამკვეთისთვის მისაღები, წარმატებული მხატვრული ფორმის პროდუქციად გადაქცევის აუცილებლობაა.	მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები საკოლექციო მოდელების დიზაინიI-IIეტაპი კინოსა და თეატრის მხატვრობა ტესტი, ზეპირი და წერითი გამოცდა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა). ფიგურატიული პლასტიკა თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერაში თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია I-IIეტაპი საკოლექციო მოდელების დიზაინიI-IIეტაპი მსოფლიო ხელოვნების ისტორია ქართული ხელოვნების ისტორია ტესტი, ზეპირი და წერითი გამოცდა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	სწავლება, სწავლა და შეფასება
3. ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი ვითარდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამების სწავლების გვერდით. მითუმეტს, რომ მხატვრობის და დიზაინის სფეროში ასათვისებელი პროგრამები უფრო რთული და ტევადია, ვიდრე უბრალო საინფორმაციო პროგრამები. სტუდენტი ინფორ-მაციას იღებს აგრეთვე სასწავლო და დამხმარე ლიტერატურიდან, რომლის ნაწილი კლასიკური სახვითი ხელოვნების და მისი განვითარების შესწავლას ემსახურება – აქედან გამომდინარე მას განსხვავებული ინფორმაცია მიეწოდება სხვა და სხვა ჭრილში და მათი შეჯერების და გაანალიზების უნარი უვითარდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევასთან ერთად.	გრაფიკული კომპოზიცია თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება საკოლექციო მოდელების დიზაინი I-II ეტაპი კინოსა და თეატრის მხატვრობა ტესტი, ზეპირი და წერითი გამოცდა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია უცხო ენა
4. მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარს სტუდენტი სასტარტო პოზიციიდან ფლობს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ეეგ გამარტივებული წესით) მნიშვნელოვანია ინგლისური ენის ფლობა, რადგან თანამედროვე დიზაინის სამყაროში (დიზაინი ყოველთვის გულისხმობს დიდი დოზით ნოვაციას) მის გარეშე მიღებული I ნფორმაია მწირი იქნება.	ტესტი, ზეპირი და წერითი გამოცდა, ფიგურატიული პლასტიკა ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები
5. მხატვრობის წმინდა ინდივიდუალისტური სფეროების გამოკლებით (დაზგური ფერწერა და გრაფიკა და ა.შ.) ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩვევას სტუდენტი ეუფლება დიზაინის (ტანსაცმლის მოდელირება) და განსაკუთრებით კინოსა და თეატრის მხატვრობის შესწავლისას.	ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია I-II ეტაპი კინოსა და თეატრის მხატვრობა მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები
6. ავტონომიურად მუშაობის უნარი მხატვრის მოღვაწეობის ქვაკუთხედია ყველა დარგში (ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩათვლით)	აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი ფერწერული კომპოზიცია გრაფიკული კომპოზიცია ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება

პროგრამის სტრუქტურა

№	კოდი	საგანი	მოდულის სტატუსი	I	II	III	IV
1.		სახვითი ხელოვნების საფუძვლები(ხატვა)	სავალდებულო	10			
2.		სახვითი ხელოვნების საფუძვლები(ფერწერა)	სავალდებულო	10			
3.		მხატვრ. კომპოზიციის საფუძვლები	სავალდებულო	10			
4.		აკადემიური მხატვრობა I-II ეტაპი	სავალდებულო		10	10	
5.		ფერწერული კომპოზიცია	სავალდებულო		5		
6.		გრაფიკული კომპოზიცია	სავალდებულო		5		
7.		ფიგურატიული პლასტიკა	სავალდებულო			5	
8.		თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია ფერწერაში	არჩევითი				10
9.		თავისუფალი შემოქმედებითი კომპოზიცია გრაფიკაში	არჩევითი				10
10.		ფიგურატიული პლასტიკის ტილზაცია	არჩევითი				10
11.		ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები	არჩევითი		5		
12.		ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	არჩევითი			5	
13.		დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები	არჩევითი		5		
14.		ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია	არჩევითი			10	
15.		დეკორატიული ქსოვილის დაპროექტება	არჩევითი			10	
16.		დეკორატიული ქსოვილის მასალაში შესრულება	არჩევითი				10
17.		საკოლექციო მოდელების დიზაინი	არჩევითი				10
18		უცხო ენა	არჩევითი		5		

შეფასება:

შეფასების სისტემა ასქულიანია და მოქნილობით ოპტიმალურია სახვითი ხელოვნების და დიზაინის სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარამტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა. დისციპლინა შედგება სხვა და სხვა კომპონენტებისგან და ისევ და ისევ მხატვრობის ინდივიდუალისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ფლობის თანაფარდობა არ მოითხოვს ზედმიწვნით შტამპირებას. პრაქტიკულ სეგმენში პრიორიტეტული აქცენტები კეთდება კომპოზიციურ ხედვაზე და აზროვნებაზე ზოგადად, ხატვისა და ფერწერის ტექნიკისა და მასალის ფლობაზე.

სწავლების ფორმატის მიხედვით ჯამური შეფასების ჩამოყალიბება ასპექტების შემდეგი პროცენტული თანაფარდობით წარმოებს:

ლექცია-პრაქტიკუმებზე დასწრება: 10%

პრეზენტაცია-სემინარების შეფასება: 40% (25%+25%)

საბოლოო გამოცდა: 40% (დაიშვება სტუდენტი, რომელმაც პრეზენტაციებზე დააგროვა მინიმუმ 20 ქულა)

მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება არის 51.

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:
თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი თამაზ ხუციშვილი, მოწვეული პედაგოგები – ვლადიმერ ასათიანი, ლალი ლომთაძე, ლელა გელეიშვილი, ლევან სილაგაძე, მანანა ტაბიძე, მარინა დიღმელაშვილი რომლებიც ამჟამად უძღვებიან სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის შესაბამის საგნებს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილთან (საგანზე დაფიქსირებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით) მოხდება ჯგუფების გაერთიანება.

სწავლისათვის დამხამარე პირობები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა)
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სპეციალიზირებული სტუდია-ლაბორატორიების და საინფორმაციო ტექნოლოგიური ცენტრის სახით პროგრამის სტრუქტურისა და სწავლების პრაქტიკული ხასიათის გამო აუცილებელია. პროგრამა დარგობრივი კუთხით სწორედ ისეთნაირად არის შემუშავებული, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული დანადგარები, ტექნიკა, დამხარე ინვენტარი და აღჭურვილობა, მასში არ არის მინიშნება დიზაინის იმ დარგებზე, რისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტს არ გააჩნია.

1. სახვითი სელოვნების სტუდია-ლაბორატორია (საერთო ფართი 350 მ2, გააჩნია მხატვრობისთვის ოპტიმალური ბუნებრივი განათების წყარო და მაღალი ჭერი) აღჭურვილია დაზგური ფერწერის და გრაფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით – მოლბერტები (15), დაფები (40), ტუმბოები (100), სადგარები (50), თაბაშირის მარტივი და რთული მოდელები (35), ოფორტის დაზგა, ქანდაკების დაზგა.
2. ტანსაცმლის დიზაინის სტუდია- ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო მანქანა-დანადგარებით: სამკერვალო საწარმოო დანიშნულების "ა" კლასის მანქანა (6 ერთეული) ოვერლოკის სპეც. მანქნა, ტრიკოტაჟის საქსოვი დაზგა, საკერავი მანქანა "ვერიტას", საგამომჭრელო მაგიდები შესატყვისი ინვენტარით.
3. კომპიუტერული გრაფიკის ლაბორატორია აღჭურვილია 4 კომპიუტერით.

სავალდებულო ლიტერატურა: ლექტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი კონსპექტი, რომელშიც მითითებულია შემდეგი დამხმარე, დამატებითი ლიტერატურა: მრავალტომეული "Школа изобразительного искусства» В. Виппер. Введение в историческое изучение искусства.

დასაქმების სფეროები: სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები
1) დაზგური მხატვრობის (ფერწერა, გრაფიკა) დარგებში ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობისთვის
2) ტანსაცმლის დიზაინის და დეკორატიული ქსოვილების (ბატიკა, გობელენი, თექა) გაფორმების დარგებში, როგორც ინდივიდუალ;ურად, ასევე სამოდელო სახლებთან და მსუბუქი მრეწველობის საწრმოებთან თანამშრომლობით.
3) კინოს, თეატრის და ტელევიზიის მხატვრად.
4) საგამომცემლო სფეროში.
5) ნებისმიერ სფეროში, სადაც პროდუქციის, ობიექტის და პერფორმანსის მხატვრული და დიზაინერული გაფორმება არის საჭირო.

დაშვების წინაპირობა: ეეგ გამარტივებული წესით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობ: სახვითი ხელოვნების და დიზაინის პროფესიული პროგრამა თავსებადია თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ამავე სახელწოდების საბაკალავრო პროგრამისა და ეეგ-ს შესაბამისი კომპონენტების

ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია დაამთავროს ეს საბაკალავრო პროგრამა. გარდა ამისა არჩევითი საგნების ნაწილი თავსებადია კინო-ტელე რეჟისურის და ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის და სწავლის კონკრეტულ მონაკვათზე აუცილებელი კრედიტების აღების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ პროგრამების დაუფლებაც.

კომპეტენციები

საგანი	1.1	1.2	1.3	1.4	1.5	1.6	1.7	2.1	2.2	2.3	2.4	2.5	2.6	2.7	3.1	3.2	3.3	3.4	3.5	3.6
№1		+	+			+		+	+						+					
№2		+	+			+		+		+										
№3						+	+				+				+					+
№4	+	+	+		+	+		+	+	+	+				+					+
№5	+	+			+			+		+	+				+					+
№6	+	+		+				+			+			+			+			+
№7					+	+	+		+	+				+		+			+	
№8					+					+	+					+				
№9					+		+			+	+					+	+			
№10							+					+			+				+	
№11				+			+					+					+		+	+
№12							+						+		+					
№13				+								+		+		+			+	
№14													+							
№15							+						+							
№16												+		+	+	+	+			
№17	+				+											+				
№18	+				+											+				
№19																				
№20																				

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარული ფაკულტეტი

პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის დასახელება.
კინო-ტელე რეჟისურა
პროგრამის ხელმძღვანელი
ლელა წიფურია კინორეჟისორი, თეატრმცოდნე. ასისტენტ-პროფესორი. **lelatsiphuria@yahoo.com** **www.lela.info-tbilisi.com** ტელ. 38-72-39 სახ. 899 65 49 80 მობ.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
კინო-ტელე რეჟისურის დიპლომირებული სპეციალისტი
პროგრამის მოცულობა
ექვსი სემესტრი (180 კრედიტი)
პროგრამაში მონაწილე ლექტორების რაოდენობა
თხუთმეტი თსუ-ს პედაგოგი, ოთხი მოწვეული პედაგოგი.
კინო-ტელე სარეჟისორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.
კონკურენტუნარიანი პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის ამოქმედების მიზანია, მოკლე დროში მოამზადოს შრომოთ ბაზარზე ორიენტირებული პროფესიონალი კადრები. კინო-ტელე სარეჟისორო პროგრამას ახორციელებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი. პროფესიულ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას ანიჭებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი.

პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს:

- აღზარდოს პრაქტიკაზე ორიენტირებულ ხელოვანი;
- შედარებით მოკლე დროში მისცეს სტუდენტს ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც მას რეალურად გამოადგება კინო-ტელე რეჟისურის სფეროში წარმატებული მუშაობისთვის;
- მოამზადოს პროფესიონალი, რომელიც შეძლებს ადაპტირებას კინო და ტელეხელოვნების მიმდინარე პროცესებში;
- გამოუმუშავოს სტუდენტს კინო-ტელე ხელოვნების ყველა დარგში მოღვაწეობისათვის (რეკლამით დაწყებული მხატვრული ვიდეო ფილმის რეჟისურით დამთავრებული) აუცილებელი კომპეტენციები;
- განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და წარმატებული კარიერისათვის
- მოამზადოს დიპლომირებული სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ სწავლის გაგრძელებას უფრო მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად, სადაც მოხდება მის მიერ დაგროვილი კრედიტების აღიარება.

პროგრამის შედეგი

1, ცოდნა და გაცნობიერება

1.1. კინო-ტელე რეჟისურის ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და მეთოდების ცოდნა;
1.2. ტელეჟურნალისტიკის საფუძვლების ცოდნა;
1.3. მხატვრული ნაწარმოების აგების სპეციფიკის ცოდნა;
1.4. ფირზე ასახული აუდიოვიზუალური ხელოვნების შექმნისთვის აუცილებელი საფუძვლების ცოდნა
1.5. საპროდიუსერო საქმის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა
1.6..მორალურ, ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ცოდნა, რომელიც აუცილებელია კინო-ტელე რეჟისურაში საქმიანობისათვის.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

2.1. აუდიოვიზუალურ ნაწარმოების (რეკლამა, კლიპი, საინფორმაციო სიუჟეტი, ეტიუდი) შექმნის უნარი;
2.2. დოკუმენტური ფილმის "თრაილერის" შექმნის უნარი;
2.3. პერსონაჟთან მუშაობის უნარი;
2.4. დიალოგის აგების უნარი;
2.5. მონტაჟითა და აუდიორიგით ტემპორიტმის შექმნის უნარი
2.6.რეპორტაჟის დაგეგმვისა და გაღების უნარი;
2.7.ტელეწამყვანთან მუშაობის უნარი
2.8. დუბლირებისა და სუბტიტრების დადების უნარი;
2.9. კადრირება და კადრის კომპოზიციის აგების უნარი;

2.10. ტელე-კინო პროდუქციის შექმნისას შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
2.11. საპროდიუსერო საქმიანობის განხორციელების უნარი.

3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

3.1. ახალი ინფორმაციის და/ ან სიტუაციის ანალიზი დარგის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
3.2. შესაბამისი ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი;
3.3. კომუნიკაცია მკაფიოდ და ეფექტურად, როგორც ზეპირად, წერილობით ასევე აუდიოვიზუალური ფორმით;
3.4. პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიურობის დემონსტრირების უნარი;
3.5. ჯგუფში ეფექტურად მუშაობა. პასუხისმგებლობის აღება თავის და სხვის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;
3.6. დროის ორგანიზებისა და სამუშაოების პრიორიტეტიზაციის უნარი;
3.7. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარი;
შეფასების ზოგადი წესები

- სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;
- მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა
- შეფასება ხორციელდება მინიმუმ 4 კომპონენტის მიხედვით
- შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში

მიღებული ცოდნის შეფასება მოხდება სტუდენტის შექმნილი ნამუშევრის მიხედვით. დავალებები გულისხმობს მიღებული თეორიული ცოდნის გამოვლენას აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში.

- ეტიუდი.
- რეკლამა.
- რეპორტაჟი.
- საინფორმაციო სიუჟეტი.
- სატელევიზიო გადაცემა.
- მუსიკალური კლიპი.
- დოკუმენტური ფილმი - სტუდენტის მიერ აჩეული ჟანრის შესაბამისად.
- მოკლემეტრაჟიანი ვიდეო ფილმი.

კურსდამთავრებულის მიერ სწავლების პროცესში შექმნილი ნამუშევარი შესაძლებელია გახდეს მისი პროფესიული დასაქმების საფუძველი, რადგან ნამუშევრების ნახვისა და შეფასების შესაძლებლობა ექნებათ დამსაქმებლებს: ტელევიზიებსა და სხვა მედია საშულებებს, შემოქმედებით, კინო და მუსიკალურ სტუდიებს, ყველა დაინტერესებულ კომპანიასა და ორგანიზაციას.

დასაქმების სფეროები

წარმატებულ კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს რეჟისორად, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კინოსტუდიებში, ტელევიზიებში, სარეკლამო სააგენტოებში.
კუსდამთავრებულს შეუძლია იყოს პროდიუსერი, როგორც საკუთარი, ისე სხვა ნებისმიერი ნამუშევრის.
სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, მათ ასევე შეეძლებათ დასაქმდნენ ჟურნალისტებად ტელევიზიასა და რადიოში.
კურსდამთავრებული შეიძლება გახდეს საჯარო მოხელე კულტურის დარგში, აუდიოვიზუალური ხელოვნების ექპერტი, პროფესიული სახელოვნებო კავშირის მუშაკი და ა.შ.
კურსდამთავრებული უფლებამოსილია დაწეროს სცენარი, შექმნას პროექტი, მოახდინოს მისი წარდგენა, გადაღება, მონტაჟი, ტონირება, დისტრიბუცია.

პროგრამის სტრუქტურა

კინო-ტელე რეჟისურის პროგრამა იყოფა მოდულების ორ ჯგუფად.

ა) თეორიული მოდულები
ბ) პრაქტიკული მოდულები

1. თეორიული მოდულები მიზნად ისახავს სტუდენტის ცოდნით აღჭურვას კინოსა და ტელევიზიასთან დაკავშირებულ კომპონენტებში: დრამატურგია, თეატრისა და კინოს ისტორია, ჟურნალისტიკა, მუსიკა, მხატვრობა, ლოგიკა, უცხო ენა, მენეჯმენტი.
2. პრაქტიკული მოდულები – დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე კინო-ტელე რეჟისურის სპეციალობის შესწავლა, თეორიული ცოდნის ნამუშევრებში რეალიზების გზით ხდება. სტუდენტი ვალდებული იქნება სწავლების ყველა ეტაპზე წარმოადგინოს კურსის შესაბამისი ნამუშევარი.

ყოველ სემესტრში თითოეული სტუდენტისთვის სავალდებულო დავალება იქნება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრების შესახებ რეპორტაჟის გადაღება. ეს ერთის მხრივ სტუდენტს, საინფორმაციო პროგრამებზე მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს, მეორე მხრივ კი საუნივერსიტეტო ცხოვრების ქრონიკას შექმნის.
პრაქტიკულ მოდულში შედის საგნები, რომლებიც სტუდენტურ ნამუშევრებში აისახება: მსახიობის ოსტატობა, საოპერატორო ხელოვნება, განათება, ხმოვანი ჯერი ფილმში და ა.შ.
სასწავლო პროცესში სტუდენტები მივლინებული იქნებიან საწარმოო პრაქტიკაზე ტელევიზიებსა და კინოსტუდიებში, კინოფესტივალებზე, მონაწილეობას მიიღებენ ვერქშოფებსა და მასტერკლასებში.
სასწავლო პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაზაზე, სადაც სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის შექმნილია ყველანაირი პირობა.
ფაკულტეტის ბაზაზე არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება სტუდენტებისთვის თეორიულის ცოდნის მიცემას. ბიბლიოთეკა

აღჭურვილია უახლესი კომპიუტერეული ტექნოლოგიებით, ინტერნეტით, რომლის საშუალებით უზრუნველყოფილია სასურველი ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.
უნივერსიტეტში არსებული ვრცელი კინოფონდი საშულებას მისცემს სტუდენტებს გაეცნონ მსოფლიო და ქართული კინემატოგრაფიის ნიმუშებს.
ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებობს ტექნიკური ბაზა, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტმა გადაიღოს ყველა ის ნამუშევარი, რომელსაც სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს.

სასწავლო პრაქტიკა

- პროფესიული უმაღლესი განათლების კინო-ტელე რეჟისურის პროგრამა აგებულია პრაქტიკული ნამუშევრების შექმნაზე.
- სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან საზოგადოებრივი მაუწყებლის რედაქციებში: საინფორმაციო პროგრამების რედაქცია, დილის პროგრამების რედაქცია, სარეკლამო განყოფილება, დოკუმენტური ფილმების განყოფილება.
- სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან შემოქმედებითი და სამენეჯმენტო მიმართულებით, საერთაშორისო ახალგაზრდულ კინოფესტივალ "სესილის" ფარგლებში.

სასწავლო პრაქტიკის ბაზა

- კინო-ტელე რეჟისურის საბაკალავრო და უმაღლესი პროფესიული განათლებისათვის შექმნილი და სათანადო ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ბაზა თსუ-ში.
- სასწავლო პრაქტიკის ბაზა იქნება საზოგადოებრივი მაუწყებელი.
- საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი "სესილი".

საწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და პროგრამის უპირატესობა

კინო-ტელე სარეჟისორო უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამა თავსებადია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ხელოვნების საბაკალავრო პროგრამასთან.
რეჟისორის პროფესია მუდმივად არის დაკავშირებული ერთის მხრივ ინტელექტის ზრდასთან და მეორეს მხრივ ახალი ტექნოლოგიების ათვისებასთან.
კურსდამთავრებულებს ექნებათ მყარი საფუძველი იმისა, რომ მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაცია, მუდმივი თვითგანვითარების გზით.
სრული სასწავლო კურსის გავლასა და პროგრამის ათვისების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გასცემს უმაღლესი განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს – კვალიფიკაციის მითითებით.
პირს, რომელმაც ვერ დაასრულა შესაბამისი საგანამანათლებლო საფეხური ეძლევა სათანადო მოწმობა.
პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს.

საწავლო პრაქტიკის გეგმა

პროფესიული უმაღლესი განათლების კინო-ტელე რეჟისურის პროგრამა სრულიად არის ორიენტირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და პაქტიკული ნამუშევრების შექმნაზე. თსუ-ში არსებული ბაზა სტუდენტებს საშუალებას მისცემს პრაქტიკული დავალებები შეასრულონ თსუ-ს ტექნიკით.
საზოგადოებრივი მაუწყებლის რედაქციებში სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან შემდეგი თანამიმდევრობი:

I კურსი

- საინფორმაციო პროგრამა "მოამბის" ბაზაზე.
- სარეკლამო განყოფილება.

II კურსი

- დილის პროგრამების რედაქცია
- მუსიკალური გადაცემების განყოფილება.
- შემეცნებით-გასართობი გადაცემების განყოფილებები.

III კურსი

- დოკუმენტური ფილმების განყოფილება.
- სერიალი (თუ იმ პერიოდისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის საწარმოო გეგმაში იქნება სერიალის წარმოება.

პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს ყოველწლიურ პრაქტიკას საერთაშორისო ახალგაზრდულ კინოფესტივალ "სესილის" ფარგლებში, რომელიც გაზაფხულზე იმართება – სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან, როგორც შემოქმედებით ასევე სამენეჯმენტო მიმართულებით.
პრაქტიკის ყოველი ეტაპის დამთავრების შემდეგ სტუდენტი პრედიტის

მისაღებად ვალდებული იქნება წარმოადგინოს ანგარიში მის მიერ გამომუშავებული უნარ-ჩვევების და შესწავლილი კომპონენტების შესახებ.

პროგრამის სტრუქტურა
(მოდულები, საგნები, შესაბამისი კრედიტები)

	საგნის კოდი	საგანი/მოდული	I წელი		II წელი		III წელი		ECTS კრედიტი
			ECTS კრედიტი						
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
1.		კინო-ტელე რეჟისურის და მონტაჟის საფუძვლები. (პროფესიული)	10	10					20
2.		კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი I ეტაპი. (პროფესიული)			10	10			20
3.		კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი II ეტაპი. (პროფესიული)					10	10	20
		სულ							60
4.		კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება ძირითადი (კინო-ტელე რეჟისურა. ძირითადი საბაკალავრო)		5					5
5.		ტელე ჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი. ძირითადი (კინო-ტელე რეჟისურა. არჩევითი საბაკალავრო)	5	5					10
6.		თანამედროვე დრამატურგია (I-II) ძირითადი (კინო-ტელე რეჟისურა. არჩევითი საბაკალავრო)	5	5					10
7.		მსახიობის ოსტატობა (I-II) ძირითადი (კინო-ტელე რეჟისურა. არჩევითი საბაკალავრო)			5	5			10
8.		თეატრისა და კინოს ისტორია ძირითადი (კინო-ტელე რეჟისურა. არჩევითი საბაკალავრო)			5				5
9.		უცხო ენა (ინგლისური) ძირითადი (სოც. პოლი მეცნიერებათა ფაკ. საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი საბაკ.)			5	5			10
10.		საინფორმაციო ტექნოლოგიები ძირითადი	5						5
11.		მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები, გრაფიკული კომპოზიცია ძირითადი (ჰუმანიტ. ფაკ. სახვითი ხელოვნების ძირთადი საბაკალ.)					5	5	10

მოდული/სწავლის შედეგები	სწავლის შედეგები																					
	1.1	1.2	1.3	1.4	1.5	1.6	2.1	2.3	2.4	2.5	2.6	2.7	2.8	2.9	2.10	3.1	3.2	3.3	3.4	3.5	3.6	3.7
კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი	X						X							X		X	X					
საინფორმაციო ტექნოლოგიები		X												X								X
უცხო ენა								X										X				
კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება				X										X								
ტელე ჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი.		X																				X
თანამედროვე დრამატურგია					X							X										
მსახიობის ოსტატობა								X														X
თეატრისა და კინოს ისტორია	X														X							
მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები, გრაფიკული კომპოზიცია	X		X											X								
რეჟისორი და პროდიუსერი კინო-ტელე ხელოვნებაში						X									X							
ხმოვანი ჯერი ფილმში				X			X															

სწავლის შედეგების რუკა

1. ცოდნა და გაცნობიერება

1.1.1. კინო-ტელე რეჟისურის ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და მეთოდების ცოდნა;

1.2. ტელეჟურნალისტიკის საფუძვლების ცოდნა;

1.3. მხატვრული ნაწარმოების აგების სპეციფიკის ცოდნა;

1.4. ფირზე ასახული აუდიოვიზუალური ხელოვნების შექმნისთვის აუცილებელი საფუძვლების ცოდნა

1.5. საპროდიუსერო საქმის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა

1.6..მორალურ, ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ცოდნა, რომელიც აუცილებელია კინო-ტელე რეჟისურაში საქმიანობისათვის

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები

2.1. აუდიოვიზუალურ ნაწარმოების (რეკლამა, კლიპი, საინფორმაციო სიუჟეტი, რეპორტაჟი, ეტიუდი) შექმნის უნარი;

2.2. დოკუმენტური ფილმის "თრაილერის" შექმნის უნარი;

2.3. პერსონაჟთან მუშაობის უნარი;

2.4. დიალოგის აგების უნარი;

2.5. მონტაჟითა და აუდიორიგით ტემპორიტმის შექმნის უნარი

2.6. ტელეწამყვანთან მუშაობის უნარი

2.7. დუბლირებისა და სუბტიტრების დადების უნარი;

2.8. კადრირება და კადრის კომპოზიციის აგების უნარი;

2.9. ტელე-კინო პროდუქციის შექმნისას შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი

2.10. საპროდიუსერო საქმიანობის განხორციელების უნარი

3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

3.1. ახალი ინფორმაციის და/ ან სიტუაციის ანალიზი დარგის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;

3.2. შესაბამისი ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი;

3.3. კომუნიკაცია მკაფიოდ და ეფექტურად, როგორც ზეპირად (მ. შ. უცხო ენაზე), წერილობით ასევე აუდიოვიზუალური ფორმით;

3.4. პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიურობის დემონსტრირების უნარი;

3.5. ჯგუფში ეფექტურად მუშაობა. პასუხისმგებლობის აღება თავის და სხვის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;

3.6. დროის ორგანიზებისა და სამუშაოების პრიორიტეტიზაციის უნარი;

3.7. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარი